შეთანხმება №01-08-15/900-2025-2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტსა და არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი 16 ივლისი 2025 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოდგენილი მისი დეკანის პროფ. თალიკო ჟვანიას სახით და მეორე მხრივ, არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუგზარ ყავლაშვილის სახით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ფაკულტეტის და ინსტიტუტის თანამშრომლობა სამეცნიერო საგანმანათლებლო მიმართულებით, მათ შორის ფაკულტეტის „კომპიუტერის ინფორმაციული ტექნოლოგიების“ „კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების“, „კომპიუტერული ინჟინერიის“, „კომპიუტერული მეცნიერების“, „ინფორმატიკის“ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, ასევე სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით;

2 ინსტიტუტი გამოთქვამს მზადყოფნას ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამების 10 სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკა განახორციელოს ანაზღაურების გარეშე;

3 კალენდარული წლის განმავლობაში უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის გაივლიან, მისამართზე ქ. თბილისი ელიზბარ მინდელის ქ. 4;

4 საწარმოო პრაქტიკაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა ფაკულტეტის და ინსტიტუტის მიერ;

5 ინსტიტუტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვან და ეფექტურ გავლას;

6 სტუდენტებისათვის კომპანიის შინაგანაწესის, ტექნიკისა და ხანძარ საწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების გაცნობას;

7 საწარმოო პრაქტიკის დასრულებისთანავე თითოეულ სტუდენტზე კომპანიის ბეჭდით დამოწმებული დასკვნა-დახასიათების გაცემას;.

8 ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების გაგზავნას და მათზე კონტროლს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში;

9 ფაკულტეტი უზრუნველყოფს პრაქტიკანტი სტუდენტების სახელობითი სიის და პრაქტიკის სილაბუსის მიწოდებას პრაქტიკის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე;

10 ფაკულტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფენ თითოეული სტუდენტის საწარმო პრაქტიკის ინდივიდუალური დავალების თემატიკის შეთანხმებას პრაქტიკის დაწყებამდე ერთი თვით ადრე;

11 პრაქტიკის ხანგრძლივობა სტუდენტთა თითოეული ნაკადისათვის განისაზღვრება კვირაში 7 საათით 13 კვირის განმავლობაში, რაც ჯამში შეადგენს 91 საათს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით;

12 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2032 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

იმს ფაკულტეტის

დეკანი

_____

არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს

დირექტორი

_____